DYNAMICS, CHALLENGES AND OPPORTUNITIES OF INSURANCE MARKET

DEVELOPMENT IN GEORGIA

სადაზღვევო ბაზრის განვითარების დინამიკა, გამოწვევები და შესაძლებლობები საქართველოში

David Tchiotashvili
Doctor of Economics, Professor of Gori State University,
Gori, Chavchavadze st., №53, 1400, Georgia
tchiotashvili@gmail.com
(+995) 599509067
ORCID-0000-0002-2500-6252

Khaliana Chitadze
Doctor of Economics, Assoc. Professor of Gori State University,
Gori, Chavchavadze st., №53, 1400, Georgia
chitadze.xaliana@gmail.com
ORCID-0000-0001-6795-9484

Abstract

The dynamic development and expansion of the insurance market is one of the important foundations of the development of the financial market, due to the fact that the dynamics of the development of the insurance market and the challenges it faces are a decisive factor in the insurance protection and economic security of society.

The main goal of the paper is to study and investigate the dynamics of the development of the insurance market in Georgia and the challenges it faces in recent years, because the study of the insurance market and its detailed review allow us to see the current problems and ways to solve them. The stages of formation, formation and development of the insurance market in Georgia, the state regulation of the insurance market, the unique insurance programs supported by the state and the achieved results, the challenges and opportunities facing the insurance market are analyzed.

It is true that significant successes and results have been achieved in this field in recent years, but in Georgia, both the financial market and the insurance market and the insurance business still cannot adequately meet complex insurance needs and provide global insurance protection.

Key words: insurance market; insurance business; Insurance protection; risk; insurance regulation.

დავით ჭიოტაშვილი
ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი,
გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი
საქართველო, გორი, ჭავჭავაძის გამზ. #53
tchiotashvili@gmail.com
ORCID-0000-0002-2500-6252

ხალიანა ჩიტაძე
ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი,
გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოც. პროფესორი
საქართველო, გორი, ჭავჭავაძის გამზ. #53
chitadze.xaliana@gmail.com
ORCID-0000-0001-6795-9484

აბსტრაქტი

სადაზღვევო ბაზრის დინამიური განვითარება და გაფართოება საფინანსო ბაზრის განვითარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან საფუძველს წარმოადგენს, გამომდინარე იქიდან, რომ სადაზღვევო ბაზრის განვითარების დინამიკა და მის წინაშე არსებული გამოწვევები, საზოგადოების სადაზღვევო დაცვის და ეკონომიკური უსაფრთხოების გადამწყვეტ ფაქტორს წარმოადგენს.

ნაშრომის ძირითადი მიზანია, შევისწავლოთ და გამოვიკვლიოთ საქართველოში სადაზღვევო ბაზრის განვითარების დინამიკა და მის წინაშე არსებული გამოწვევები ბოლო წლების განმავლობაში, რადგან სადაზღვევო ბაზრის შესწავლა და მისი დეტალური მიმოხილვა საშუალებას იძლევა დავინახოთ მიმდინარე პრობლემები და მათი გადაჭრის გზები. გაანალიზებულია, საქართველოში სადაზღვევო ბაზრის ჩამოყალიბების, ფორმირების და განვითარების ეტაპები, სადაზღვევო ბაზრის სახელმწიფო რეგულირება, სახელმწიფოს მხარდაჭერით მიმდინარე უნიკალური სადაზღვევო პროგრამები და მიღწეული რეზულტატები, სადაზღვევო ბაზრის წინაშე არსებული გამოწვევები და შესაძლებლობები.

მართალია, ამ სფეროში, ბოლო წლებში მიღწეულია მნიშვნელოვანი წარმატებები და შედეგები, მაგრამ საქართველოში, როგორც საფინანსო ბაზარი, ასევე სადაზღვევო ბაზარი და სადაზღვევო ბიზნესი ჯერ კიდევ შესაბამისად ვერ

უზრუნველყოფს კომპლექსური სადაზღვევო მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას და გლობალურ სადაზღვევო დაცვას.

საკვანძო სიტყვები: სადაზღვევო ბაზარი; სადაზღვევო ბიზნესი; სადაზღვევო დაცვა; რისკი; სადაზღვევო რეგულირება.

შესავალი

დაზღვევის როლი ადამიანის ცხოვრებაში ყოველთვის ერთერთი გადამწყვეტი ფაქტორი იყო. განსაკუთრებით დღეს, როდესაც კაცობრიობა აღმოჩნდა ბუნებრივი, ტექნიკური და ტექნოლოგიური, კრიმინოგენული, კლიმატური და სხვა ხასიათის რისკების ეპოქაში უფრო მნიშვნელოვანია მისი როლი და მნიშვნელობა, რადგან ის, როგორც საზოგადოების კეთილდღეობის და ბიზნესის დამცველი საშუალება, არის ერთადერთი თუ არა, ერთერთი დამცავი ფინანსური მექანიზმი, რომელიც ააცილებს საზოგადოებას სიცოცხლის, ჯანმრთელობის და საკუთრების გაუფასურების შესაძლო რისკებს. დაზღვევა, როგორც ეკონომიკური კატეგორია, წარმოადგენს ეკონომიკურ ურთიერთობათა სისტემას და ფინანსური ურთიერთობების განსაკუთრებულ ფორმას, რომელსაც დიდი როლი და მნიშვნელობა აქვს არა მარტო ბიზნესის და ბიზნესურთიერთობების განვითარებაში, არამედ საერთოდ საზოგადოების ცხოვრებაში. სადაზღვევო ბაზრის განვითარების მზარდი ტემპი ხელს უწყობს წარმოების პროცესის და ბიზნესის გაფართოებას განვითარებული საბაზრო ურთიერთობის პირობებში, ამიტომ სადაზღვევო ბიზნესის დინამიური განვითარება არის ქვეყნის ეკონომიკისათვის ფინანსური შემოსავლების მნიშვნელოვანი წყარო და ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმებისა და ცხოვრების დონის ამაღლების საშუალება. იგი მოიცავს ეკონომიკის სხვადასხვა სფეროს და მისი წარმატებული საქმიანობა ქვეყანაში ეკონომიკური და პოლიტიკური სტაბილურობის ერთ-ერთი მაჩვენებელია. სადაზღვევო ბაზრის შესწავლა და დეტალური მიმოხილვა საშუალებას იძლევა დავინახოთ მიმდინარე გამოწვევები და მათი გადაჭრის გზები.

საქართველოში სადაზღვევო ინდუსტრია მისი განვითარებისა და რეგულირების ყველა ეტაპზე დგება შემდეგი ამოცანების წინაშე:

- რამდენად დინამიურად ვითარდება საქართველოში სადაზღვევო ინდუსტრია და ეფექტურად უზრუნველყოფს თუ არა მომხმარებელთა სადაზღვევო მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას და გლობალურ სადაზღვევო დაცვას?
- რამდენად შეძლო სადაზღვევო ბაზარმა ხარისხიანი სადაზღვევო პროდუქტის და მომსახურების შეთავაზება?
- როგორია სახელმწიფოს მხარდაჭერა საქართველოში სადაზღვევო ბიზნესის მიმართ და რამდენად ეფექტურად მუშაობს სახელმწიფოს ფინანსური მხარდაჭერით განხორციელებული მსხვილი სადაზღვევო პროგრამები?
- რა პრობლემების და გამომოწვევების წინაშე დგას საქართველოში სადაზღვევო ბაზარი და რა პერპექტივებია დაგეგმილი განვითარების და რეგულირების შემდგომ ეტაპებზე?

მეთოდოლოგია

ნაშრომი მოიცავს საქართველოში საქართველოში სადაზღვევო ბაზრის ჩამოყალიბების, განვითარების და რეგულირების ეტაპებს, მის შესაბამისობას მომხმარებელთა მოთხოვნილებებთან და მის გავლენას ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე. კვლევაში გამოყენებულია როგორც რაოდენობრივი, ისე თვისობრივი მიდგომები არსებული რეალობის დასადგენად. იგი ეფუძნება სტატისტიკური მონაცემების ანალიზს და შედეგებს. იგი ეფუძნება საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის და საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო სამსახურის ინფორმაციას. დასკვნა და რეკომენდაციები ემყარება არსებული და მიღებული მონაცემების რაოდენობრივ და თვისობრივ ანალიზს არსებულ მდგომარეობის შესახებ და საერთაშორისო გამოცდილებას.

შედეგები და დისკუსია:

საქართველოს სადაზღვევო ბაზრის შესაძლებლობებს მთელი რიგი ფაქტორები განსაზღვრავს და ამ ფაქტორებს შორის ერთ-ერთი წარმმართველია სადაზღვევო ბიზნესის დინამიური განვითარება. დიდია სადაზღვევო ბაზრის როლი

საქართველოს ეკონომიკურ განვითარებაში და ქვეყნის პრიორიტეტულ სექტორად არის აღიარებული. ცხადია, ამ მიმართულებით გადადგმული ნაბიჯები პირდაპირ გავლენას ახდენს სადაზღვევო ბიზნესის გავითარებაზე და მომგებიანობაზე.

საქაართველოში სადაზღვევო ბაზრის ჩამოყალიბება 1990-იანი წლებიდან იწყება და დამოუკიდებლობის აღდგენას უკავშირდება. წარმოშობის პირველ ეტაპზე, სადაზღვევო ბაზარი, ნელი ტემპით და ქაოსურად ვითარდებოდა, თუმცა დროთა განმავლობაში მან დაიკავა თავისი ადგილი და როლი ქვეყნის საფინანსო ბაზარზე, რომელიც ასევე ჩამოყალიბების პროცესში იყო.

მეორე ეტაპზე, ქვეყნის სადაზღვევო სისტემამ ტრანსფორმაცია განიცადა, 1997 წელს მიღებულმა სადაზღვევო კანონმდებლობამ და დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის ახლებურად რეგულირებამ (რომელმაც თავის მხრივ წლების მანზილზე ბევრი ტრანსფორმაცია განიცადა) დიდი ბიძგი მისცა რეფორმების გატარებას სადაზღვევო სფეროში და საფუძველი დაუდო თანამედროვე სტანდარტების სადაზღვევო ინფრასტრუქტურის განვითარებას.

მესამე ეტაპი და შედარებით სწრაფი აღმავლობის პერიოდი 2000 წლიდან იწყება, რაც გამოიხატება ადგილობრივი სადაზღვევო კომპანიების სწრაფი გავითარებით და საერთაშორისო სადაზღვევო ბრენდების საქართველოს ბაზარზე დამკვიდრებით. სწრაფად ფართოვდება საბაზრო ურთიერთობებში სადაზღვევო კომპანიათა ჩამონათვალი, იზრდება სადაზღვევო კომპანიების მიერ მოზიდული სადაზღვევო პრემიის მოცულობა და სადაზღვევო ზარალის ანაზღაურების მაჩვენებელი. მსოფლიო ბრენდების სიმრავლე და შემდგომი მატება მნიშვნელოვნად უწყობს ხელს სადაზღვევო ბაზრის სწრაფად განვითარებას. ტრანსნაციონალური კორპორაციები საქართველოს სადაზღვევო მომსახურების ბაზარზე სიახლეს წარმოადგენს და მათი რიცხვი იზრდება, რაც რა თქმა უნდა დიდ უპირატესობას წარმოადგენს, როგორც სადაზღვევო ბაზრის შემდგომი მდგრადი განვითარებისათვის, ასევე ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისათვის. შემდგომ ეტაპზე განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა საქართველოს სადაზღვევო სივრცეს და სადაზღვევო კანონმდებლობის მაქსიმალურ დაახლოებას და ჰარმონიზაციას ევროკავშირის სადაზღვევო სივრცესთან და კანონმდებლობასთან, რაშიც დიდი

წვლილი მიუძღვის ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების მსოფლიო ბანკს და რაც კიდევ უფრო განსაკუთრებით აქტუალური გახდა საქაერთველოსა და ევროკავშირს შორის გაფორმებული ასოცირების ხელშეკრულების თანახმად.

ბოლო წლები საკმაოდ აქტიური იყო დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის საქმიანობა, მათ შორის საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის კუთხით, რაც კრიტიკულად მნიშვნელოვანია აღნიშნული სფეროს განვითარებისთვის და ემსახურება საერთაშორისო სტანდარტების დანერგვის ხელშეწყობას. დასრულდა ევროკავშირის მიერ დაფინანსებული 2019 წელს დაწყებული საჯარო სამსახურების დაძმობილების პროექტი (TWINNING), რომელიც განხორციელდა ესპანეთის სამეფოს ეკონომიკურ საქმეთა და ციფრული ტრანსფორმაციის სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებული დაზღვევისა და საპენსიო ფონდების (DGSFP) გენერალური დირექტორის ექსპერტთა აქტიური მონაწილეობით. სამსახურში შექმნილი სპეციალური სამუშაო ჯგუფის ფარგლებში გაგრძელდა ესპანელი ექსპერტების მიერ მომზადებულ კანონპროექტზე მუშაობა, რომლის შესაბამისად დაგეგმილია დაზღვევის სფეროს ევროპულ სტანდარტებთან დაახლოების და გადახდისუნარიანობის სტანდარტების დანერგვა. გაგრძელდა თანამშრომლობა მსოფლიო ბანკთან, ევროკავშირის მიერ დაფინანსებული „საქართველოს ფინანსური ჩართულობისა და ანგარიშვალდებულების“ (2019-2022 წ.წ.) პროექტის ფარგლებში, რომელიც ითვალისწინებდა სამსახურისთვის ტექნიკური დახმარების გაწევას და საქართველოს სადაზღვევო ბაზარზე ახალი სადაზღვევო პროდუქტების განვითარების და დანერგვის კუთხით.

წლების მანძილზე, საქართველოში სადაზღვევო ბაზრის საქმიანობის ყველაზე ზედაპირული ანალიზიც კი აჩვენებს, რომ გარკვეულ ეტაპებზე და ხშირად დღესაც, მათი განვითარება არ პასუხობდა ბაზრის მოთხოვნებს და ისინი სარგებლობდნენ და კმაყოფლდებოდნენ მხოლოდ ისეთი მიდგომებით, რომელიც მხოლოდ კარგი ფინანსური შედეგის მიღების შესაძლებლობას იძლეოდა. თანამედროვე პირობებში ასეთი მიდგომა შესაბამისი დადებითი შედეგის მომტანი არ არის, რადგან თუ სადაზღვევო სისტემა არ ვითარდება, ის განწირულია. თანამედროვე სადაზღვევო

მომსახურების ბაზარზე მკაცრი კონკურნციის პირობებში, აუცილებელია სადაზღვევო ბაზრის შიდა სისტემის განუწყვეტელი განვითარება, რომელიც გულისხმობს მართვის განხორციელებას ახალი, თანამედროვე მიდგომებით, ნაკებად ეფექტური ან საერთოდ არაეფექტური მართვის ელემენტების შეზღუდვით და არსებულის მოდერნიზაციით თანამედროვე სტანდარტებთან მიმართებაში.

სადაზღვევო ბაზარი სხვა სფეროებისაგან განსხვავებით, შედარებით რთული, მრავალფაქტორიანი, ცვალებადი და უნიკალური სისტემაა, რომელიც განსაკუთრებით დამოკიდებულია სადაზღვევო პროდუქტზე და მომსახურების ხარისხზე. საქართველოში სადაზღვევო პროდუქტი და მომსახურების ხარისხი გამოწვევაა არა მარტო სადაზღვევო ბაზრისათვის, არამედ საერთოდ სადაზღვევო ბიზნესის განვითარებისათვის და გასაკუთრებული ადგილი უკავია სადაზღვევო ბაზრის განუწყვეტელი განვითარების ციკლში. ხარისხიანი სადაზღვევო პროდუქტის ფორმირებას ძირითადად განაპირობებს მომხმარებელთა მოთხოვნილება და პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ახალი პროდუქტის შექმნა უამრავი ფაქტორის ანალიზთან დაკავშირებული პროცესია, რომელიც ახალი სადაზღვევო პროდუქტის ჩანაფიქრიდან რეალიზაციამდე დიდ დროს, კვალიფიციურ პერსონალს და სახსრებს მოითხოვს. ახალი სადაზღვევო პროდუქტის ფორმირება გულისხმობს ბაზარის კვლევას, გაყიდვების სავარაუდო მოცულობას, სასიცოცხლო ციკლს, საორიენტაციო ფასს, ბაზარზე გატანის პერიოდს და რეალიზაციას. ახალი პროდუქტის შექმნის მიმართ ასეთი მიდგომა გამორიცხავს ამ პროცესის სპონტანურ ხასიათს, რადგან ხარისხიანი სადაზღვევო პროდუქტის ფორმირება ხელს უწყობს სადაზღვევო ბაზარზე მომხმარებელთა რაოდენობის ზრდას.

საქართველოში, სადაზღვევო ბაზრის მნიშვნელოვანი გამოწვევაა, მომსახურების ხარისხი, ვინაიდან ხარისხიანი მომსახურება ბიზნესის წარმატების საწინდარია. სადაზღვევო მომსახურების ხარისხზე დამოკიდებულია მომხმარებლის კმაყოფილება, რაც კონკურენტულ უპირატესობას და შემოსავლებს განაპირობებს. არსებული სტანდარტული სადაზღვევო მომსახურება, რაც არ უნდა ხარისხიანი იყოს, დღეს უკვე საკმარისი აღარ არის. სადაზღვევო ბაზარი

ვალდებულია უზრუნველყოს არა მარტო დამატებითი მომსახურება, არამედ ყოველგვარი სერვისის მიწოდება სურვილის და მოთხოვნილების მიხედვით.

დიდია სახელმწიფოს როლი და მხარდაჭერა სადაზღვევო ბაზრის მიმართ, რაც პირველ რიგში გამოიხატება სახელმწიფოს მხრიდან განხორციელებული მსხვილი სადაზღვევო პროგრამების ჩამოყალიბებითა და განვითარებით. ესენია: ჯანმრთელობის საყოველთაო დაზღვევის სახელმწიფო პროგრამა და აგროდაზღვევის სახელმწიფო პროგრამა.

დღეისთვის ყველაზე გავრცელებულია ჯანმრთელობის სახელმწიფო პროგრამა, რომელიც ორიენტირებულია ქვეყნის ეკონომიკურ, პოლიტიკურ და სოციალურ მდგომარეობაზე, ასევე მოსახლეობის ცხოვრების სტილზე, შემოსავლების დონესა და საქმიანობაზე. თავდაპირველად ჯანმრთელობის საყოველთაო დაზღვევის სახელმწიფო პროგრამა ფუნქციონირებდა სადაზღვევო ბაზართან ერთად, თუმცა შემდეგ გამოეყო სადაზღვევო ბაზარს, დაექვემდებარა სახელმწიფოს და დამოუკიდებლად განაგრძო ფუნქციონირება. დღესდღეობით კი საუბარია იმაზე, რომ კვლავ სადაზღვევო ბაზარმა უზრუნველყოს აღნიშნული პროგრამის განხორციელების უზრუნველყოფა.

აგროდაზღვევა, თავის მხრივ ითვლება სახელმწიფოს მიერ წარმატებით განხორციელებულ და სუბსიდირებულ სახელმწიფო პროექტად, რომელიც სახელმწიფოსა და საერთაშორისო ორგანიზაციების დახმარებით განხორციელდა და ხელს უწყობს ქვეყანაში აგროსექტორის განვითარებას და ფინანსურ წარმატებას.

საქართველოს სადაზღვევო ბაზრზე ეროვნულ მზღვეველებთან ალიანსში დღეს წარმატებით ფუნქციონირებენ ევროპული და ამერიკული დაზღვევის და გადაზღვევის ტრანსნაციონალური მსოფლიო ბრენდები და უმსხვილესი სადაზღვევო ჯგუფების წარმომადგენლობები, ასევე დაზღვევის და გადაზღვევის საბროკერო კომპანიები, რომლებსაც სერიოზული წვლილი შეაქვთ საქართველოს სადაზღვევო ბაზრის განვითარებაში.

სტატისტიკური მონაცემები და შედეგები

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საქართველოში სულ რეგისტრირებულია 18 სადაზღვევო კომპანია. მათ მიერ, ამ პერიოდის განმავლობაში მოზიდულმა სადაზღვევო პრემიამ შეადგინა 1 063,6 მილიონი ლარი. მზღვეველთა სადაზღვევო მოგებამ კი შეადგინა 248,5 მილიონი ლარი, ხოლო სადაზღვევო კომპანიების აქტივების ჯამური მოცულობა შეადგენს 1 300,9 მილიონ ლარს და კაპიტალი 374,3 მილიონ ლარს. რაც დიაგრამის სახით ასე გამოიყურება: დიაგრამა N 1

დიაგრამა N 1





სადაზღვევო კომპანიების მიხედვით, მოზიდული სადაზღვევო პრემიების 2022 და 2023 წლების შედეგების შედარება ასე გამოიყურება: დიაგრამა N 2

დიაგრამა N 2



როგორც 2022 წელს, 2023 წელსაც, საქართველოს სადაზღვევო ბაზარზე მოზიდული სადაზღვევო პრემიების მიხედვით ლიდერობს სამი სადაზღვევო კომპანია: ჯიპიაი ჰოლდინგი, თიბისი დაზღვევა და ალდაგი.

დაზღვევის სახეობების მიხედვით მოზიდული სადაზღვევო პრემიების 2022 და 2023 შედეგების შედარება ასე გამოიყურება: დიაგრამა N 3

დიაგრამა N 3



როგორც 2022 წელს, 2023 წელსაც, საქართველოს სადაზღვევო ბაზრზე მოზიდული სადაზღვევო პრემიების მიხედვით ლიდერობს სამი სადაზღვევო სახეობა: სამედიცინო (ჯანმრთელობის) დაზღვევა, სახმელეთო სატრანსპორტო საშუალებათა დაზღვევა და ქონების დაზღვევა.

სადაზღვევო კომპანიების მიხედვით, ანაზღაურებული სადაზღვევო ზარალების 2022 და 2023 წლების შედეგების შედარება ასე გამოიყურება: დიაგრამა N 4

დიაგრამა N 4



როგორც 2022 წელს, 2023 წელსაც, საქართველოს სადაზღვევო ბაზრზე სულ ანაზღაურებული ზარალების მიხედვით ლიდერობენ სადაზღვევო კომპანიები: ჯიპიაი ჰოლდინგი და თიბისი დაზღვევა, ხოლო მესამე ადგილზეა სადაზღვევო კომპანია არდი.

მართალია, საქართველოში სადაზღვევო ბაზრის განვითარებას არც თუ ისე დიდი ისტორია აქვს, მაგრამ სერიოზული წარმატებებით და წინ გადადგმული ნაბიჯებით გამოირჩევა, რასაც ნათლად ადასტურებს სადაზღვევო ბაზრის სტატისტიკური მონაცემები და შედეგები.

ბოლო სამი წლის განმავლობაში, საქართველოში ეკონომიკური ზრდის საკმაოდ მაღალი მაჩვენებლები დაფიქსირდა, რომელმაც 2021 წელს 10,4% შეადგინა, 2022 წელს - 10,1%, ხოლო 2023 წელს კი 8,3%. ეს არის უპრეცედენტო ეკონომიკური ზრდა მთელ ევროპაში და ამ პროცესში ერთერთი გადამწყვეტი როლი სადაზღვევო ბაზრის მაჩვენებლებმა დაიკავა. სადაზღვევო ბაზარს ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უჭირავს ქვეყნის მშპ-ს ფორმირებისას, ასევე სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების ფორმირების კუთხით. სადაზღვევო სექტორის განვითარების ტემპი (11,7%) სტაბილურად მისდევს ქვეყნის მთლიანი შიდა

პროდუქტის მნიშვნელოვანი ზრდის ტემპს (21,6%), თუმცა, ბაზარზე კიდევ არის სხვა მრავალი მიმართულება, რაც განსაზღვრავს სადაზღვევო სექტორის მიმზიდველობას საქართველოში. თუ გადავხედავთ სადაზღვევო ბაზრის განვითარების დინამიკას, ნათლად ჩანს, რომ ბოლო ათი წლის განმავლობაში სადაზღვევო ბაზრის მაჩვენებლები გაორმგდა და 2023 წლის სადაზღვევო ბაზრის მოზიდულმა პრემიამ პირდაპირი დაზღვევის საქმიანობიდან 1064 მლნ. ლარი შეადგინა, რაც 11,7%-ით მეტია 2022 წლის ამავე პერიოდის მონაცემზე (910 მლნ. ლარი).

მიუხედავად აღნიშნული მაჩვენებლებისა, ასევე მიუხედავად იმისა, რომ სადაზღვევო ბაზარი მომხმარებლებს სთავაზობს ხელსაყრელ პირობებს, საკმაოდ დაბალია სადაზღვევო ინტერესი მომხმარებლების მხრიდან, რაც ძირითადად გამოწვეულია დაბალი სადაზღვევო ცნობიერებით, შედარებით მაღალი სატარიფო პოლიტიკით და გარკვეული უნდობლობით სადაზღვევო კომპანიების მიმართ. ისიც ფაქტია, რომ სადაზღვევო ბაზარი ჯერ კიდევ ჩამოყალიბების პროცესშია და სრულად ვერ უზრუნველყოფს სხვადასხვა მოთხოვნილებების მქონე მომხმარებელთა კომპლექსური სადაზღვევო მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას და გლობალურ სადაზღვევო დაცვას.

აღსანიშნავია, რომ რომ 2020 წლიდან, COVID-19 პანდემიის პერიოდში, სადაზღვევო ბაზრის შენელების და შემდგომ 2022 წლიდან ბაზრის აღდგენის პროცესმა, სტაბილურად და მნიშვნელოვანი რყევების გარეშე ჩაიარა.

დასკვნა

საქართველოში საფინანსო ბაზრის განვითარების, საზოგადოების ეკონომიკური უსაფრთხოების და ქვეყნის ეკონომიკური ზრდის ერთერთ მნიშვნელოვან ფაქტორს რათქმაუნდა სადაზღვევო ბაზრის განვითარება და გაფართოება წარმოადგენს. მიუხედავად მიღწეული წარმატებების და შთამბეჭდავი შედეგებისა, სადაზღვევო ბაზარმა უნდა უზრუნველყოს შემდგომი სტაბილური განვითარება და დახვეწა საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით. მნიშვნელოვანია კონკრეტული, თანმიმდევრული და

სისტემური სტრატეგიისა და ტაქტიკის შემუშავება, რაც სადაზღვევო ბაზრის შემდგომ დინამიურ განვითარებას უზრუნველყოფს.

დაბალი სადაზღვევო კულტურა და საკმაოდ დაბალი სადაზღვევო ინტერესი მომხმარებლების მხრიდან, რაც ძირითადად გამოწვეულია მწირი სადაზღვევო ცნობიერებით, შედარებით მაღალი სატარიფო პოლიტიკით და გარკვეული უნდობლობით სადაზღვევო კომპანიების მიმართ, ისევ მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება საქართველოს სადაზღვევო ბაზრისთვის.

სადაზღვევო ბაზრის, როგორც რთული, მრავალფაქტორიანი და დინამიური სისტემის სპეციფიკიდან გამომდინარე, მახასიათებელს წარმოადგენს კაპიტალის ინტენსიურობა და მისი განვითარება დამოკიდებულია ეკონომიკურ, პოლიტიკურ და სოციალურ ფაქტორებზე და განსაკუთრებით რეგიონულ და გლობალურ პირობებში მიმდინარე პროცესებზე, რომელიც მყისიერად რეაგირებს მცირე რყევებზეც კი და განსაკუთრებით მასშტაბურ რისკებზე და გამოწვევებზე. ამ პრობლემების დაძლევის ერთადერთი სწორი გზა არის მისი უწყვეტი განვითარება, სადაც სადაზღვევო პროდუქტს და მომსახურების ხარისხს გასაკუთრებული ადგილი უკავია და სადაც მომხმარებელს გაცნობიერებული აქვს თუ რა ღირებულების შექმნა შეუძლია დაზღვევას, როგორც ფინანსურ ინსტრუმენტს, თანამედროვე რეალობების გათვალისწინებით და ქვეყნის და საზოგადოების კეთილდღეობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინაპირობაა. თუმცა ისიც ფაქტია, რომ სადაზღვევო ბაზარი ჯერ კიდევ ჩამოყალიბების პროცესშია და სრულად ვერ უზრუნველყოფს სხვადასხვა მოთხოვნილებების მქონე მომხმარებელთა კომპლექსური სადაზღვევო მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას და გლობალურ სადაზღვევო დაცვას.

გამოყენებული ლიტერატურა

სსიპ დაზღვევის საქართველოს სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური www.insurance.gov.ge

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო. www.mof.gov.ge

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. www.geostat.ge

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო. www.economy.gov.ge
საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომისა და სოციალური დაცვის სამინისტრო. www.moh.gov.ge
საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო www.mepa.gov.ge
ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების მსოფლიო ბანკი. www.eeas.europa.eu

References:

LEPL Insurance State Supervision Service of Georgia www.insurance.gov.ge
Ministry of Finance of Georgia. www.mof.gov.ge
National Statistics Office of Georgia. www.geostat.ge
Ministry of Economy and Sustainable Development of Georgia. www.economy.gov.ge
Ministry of IDPs, Labor, and Social Protection from the Occupied Territories of Georgia. www.moh.gov.ge
Ministry of Environment Protection and Agriculture of Georgia www.mepa.gov.ge
World Bank for European Reconstruction and Development. www.eeas.europa.eu